ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ღვინის ფესტივალი 2012

ღვინის კლუბი

12 მაისი

თბილისის
ეთნოგრაფიული
მუზეუმი

11:00 - 18:00

მაღაზია ხარება

WINE STORE KHAREBA

ი9/1534 4ლ

30-ზე მეტი სახეობის ღვინო
More than 30 type of wine

სადეგუსტაციო დარბაზი
Tasting hall

ღვინის ბარი
Wine bar

რუსთაველის გამზ.50/1
ტელ: (995 32)2 93 50 73

info@winerykhareba.com

Rustavel Ave. 50/1
Tel: (995 32)2 93 50 73

www.winerykhareba.com

კახური ტრადიციული მეღვინეობა
KAKHETIAN TRADITIONAL WINEMAKING

ერთგული ბიბლიოთეკა

საბურთალოს ქ. 32, 0194 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 (32) 2237722, E-mail: info@ktw.ge

WWW.KTW.GE

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

აგრო 4
ავთანდილ ბედენაშვილი 6
ალავერდის მონასტრის მარანი 8
ასკანელი ძმები 10
ბაბანეურის მარანი 12
ბაგრატიონი 1882 14
ბადაგონი 15
ბექა გოცაძის საგვარეულო მარანი 16
გაიოზ სოფრომაძის მარანი 17
ვაზი + ... 18
ვეფხვაძის მარანი 19
ვლადიმერ გულაშვილის მარანი 20
თბილღვინო 21
თელიანი ველი 22
იბერიელი 23
იმერული ღვინის კომპანია 24
კახა ბერიშვილის მარანი 25
კახური 26
კახური ტრადიციული მეღვინეობა 27
კორპორაცია ქინძმარაული 28
მანავის სამეფო ზვრები 29
მარანი „ნიკა“ 30
მეღვინეობა ხარება 31
ნიკოლაძეების მარანი 32
ოქროღვინო 33
სალხინოს დადიანების მარანი 34
ტყუპების ძველი მარანი 35
უსახელაურის ვენახები 36
ქინძმარაულის მარანი 37
შატო თელავი 38
შუმი 39
ჩელთი 40
ჩვენი ღვინო - OUR WINE 41
ციხელაშვილების მარანი 42
ხოხბის ცრემლები 43
ჯაყელების ღვინოები 44
ოჯახური მარნები 45

GEORGIAN
BAGRATIONI
ROYAL 1882 TRADITION

აგრო

ა(ა)იპ „აგრო“ ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი.
მისამართი: თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 39ა
ტელ: + 995 32 2 23 01 36
ფაქსი: + 995 32 2 22 65 12
ელ-ფოსტა: saguramoagro@yahoo.com

ა(ა)იპ „აგრო“-ს „ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი“ მოიცავს ქართული ვაზისა და ხეხილის ჯიშების ყველაზე სრულყოფილ კოლექციას საქართველოში. ცენტრი განთავსებულია 54 ჰა მიწის ფართობზე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიღაურაში. საკოლექციო ნაკვეთში დაცულია ვაზის 430-მდე ქართული ჯიში. ხარისხის კონტროლის პირობების დაცვით, ცენტრი ახორციელებს ჯიშურად გარანტირებული, ფიტოსანიტარულად ჯანსაღი საბაზისო და სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოებას. აქ წარმოებული სარგავი და სამყნობი მასალები უპირატესად განკუთვნილია საქართველოს რეგიონებში სანერგე სექტორის რეაბილიტაციისთვის და ნერგის მწარმოებლებისთვის. 2011 წლიდან კოლექციაში არსებული ვაზის ჯიშებისაგან ცენტრში დაიწყო მცირე რაოდენობით საკვლევი ღვინოების დამზადება, რაც მომავალში ინტენსიურად გაგრძელდება. ღვინოების კვლევა მოიცავს მათ ლაბორატორიულ ანალიზსა და დეგუსტაციას. საკვლევი ღვინოები ასევე ხელმისაწვდომი იქნება სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ღვინის პოტენციალის შესაფასებლად.

ავთანდილ ბედენაშვილი

ღვინის მანუფაქტურა
ფაქტობრივი მისამართი: კახეთი, სოფ.: კარდენახი, ავთანდილ ბედენაშვილი
ტელ.: 599 111090 – მიხეილ ბედენაშვილი. 595 309889 – ჰილარიუს პუცი.
hilariuspuets@gmail.com .

კარდენახში არსებული მარანი ღვინოს ძირითადად აწარმოებს ტრადიციული კახური წესით ქვევრებში. ღვინის დაყენებაში მონაწილეობს პროფესიონალი გერმანელი მევენახე და ღვინის ტექნოლოგი ჰილარიუს პუტცი, რომელიც საქართველოში მოწვეულია მეღვინე-კონსულტანტად კომპანია „ბაგრატიონი 1882“-ის მიერ.



ალავერდის მონასტრის მარანი

მისამართი: კახეთი, სოფელი ალავერდი, ალავერდის მამათა მონასტერი
ტელ.: 551 504774 – მამა გერასიმე.
alaverdim@yahoo.com
www.alaverdimonastery.com

ალავერდის მონასტრის ისტორიული მარანი XI საუკუნის ძეგლია, რომელმაც 21-ე საუკუნემდე დანგრეული სახით მოაღწია. არქეოლოგიურმა კვლევამ მარანში 50-ზე მეტი სხვადასხვა ტევადობის ქვევრი გამოავლინა. თიხის ჭურჭლის ეს რაოდენობა 70 ტონაზე მეტ ღვინოს იტევდა. 2006 წელს ისტორიული მარანი აღდგა და ამოქმედდა. ალავერდის მონასტრის მარანი ძველისა და ახლის შერწყმის საუკეთესო მაგალითად მიიჩნევა. მარნის ერთ ნაწილში, ქვევრებში ღვინო ტრადიციული კახური წესით მზადდება, მეორე ნაწილში კი - ევროპული ტექნოლოგიით.

იბერიელი
ოჯახური მცირე მარანი
უნიკალური ღვინო მცირე მარანში იბადება.

Iberieli
Family Wine Cellar
A unique wine is born in a small wine cellar.

ოქროსა და ვერცხლის მედლები
მიღებული 2010-2011 წლების ბათუმის ოჯახური მარნების ღვინის ფესტივალებზე

Gold and silver medals
received in 2010-2011, at the family cellar wine festivals

☎: +995 599 584624 / +995 599 695449
info@iberieli.ge / www.iberieli.ge

ASKANELI
BROTHERS

ასკანელი ძმები

შპს „ასკანელი ძმები“
კახეთის გზატკეცილი 110ა, 0198 თბილისი,
საქართველო.
ტელ/ფაქსი: +995 32 2 407777
E-mail: askaneli@gol.ge, info@askaneli.ge
www.askaneli.com

კომპანია „ასკანელი ძმების“ ფესვებს XIX საუკუნემდე მივყავართ. 1880-იან წლებში ოჯახური საქმის ფუძემდებელმა ანთიმოზ ჩხაიძემ გურიის სოფელ ასკანაში ღვინის მარანი დააარსა. თანამედროვე სახით კომპანია დაარსდა 1998 წელს. მდებარეობს თბილისის გარეუბანში. 2005 წელს განახლდა „ასკანელი ძმების“ ქარხანა, რომელიც აღჭურვილია უახლესი დანადგარებით, ჩამოსხმის თანამედროვე ხაზით, საბრენდე სპირტებისა და ჭაჭის სახდელი აპარატურით. სამარკო ღვინოები და საკონიაკე სპირტები ინახება მუხის კასრებში. კომპანია ანარმოებს 36 დასახელების ღვინოს, 12 დასახელების ბრენდის, 4 დასახელების ჭაჭას. პროდუქცია მრავალ ქვეყანას მიეწოდება, მათ შორისაა: აზერბაიჯანი, ბელორუსი, გერმანია, ესტონეთი, ინდოეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, უკრაინა, ფინეთი, ყაზახეთი, ჩეხეთი, ჩინეთი.

აგრო

ა(ა)იპ „აგრო“ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის
წარმოების ეროვნული ცენტრი

ა(ა)იპ „აგრო“-ს „ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი“ მოიცავს ქართული ვაზისა და ხეხილის ჯიშების ყველაზე სრულყოფილ კოლექციებს საქართველოში. ცენტრი განთავსებულია 54 ha მიწის ფართობზე მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯიღაურა. საკოლექციო ნაკვეთში დაცულია ვაზის 430–მდე ქართული ჯიში. ხარისხის კონტროლის პირობების დაცვით, ცენტრი ანხორციელებს ჯიშურად გარანტირებული, ფიტოსანიტარულად ჯანსაღი საბაზისო და სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოებას. აქ წარმოებული სარგავი და სამყნობი მასალები უპირატესად განკუთვნილია საქართველოს რეგიონებში სანერგე სექტორის რეაბილიტაციისათვის და ნერგის მწარმოებლებისათვის. 2011 წლიდან კოლექციაში არსებული ვაზის ჯიშებისაგან ცენტრში დაიწყო მცირე რაოდენობით საკვლევი ღვინოების დამზადება და ეს პროცესი მომავალში ინტენსიურად გაგრძელდება (დამზადებულია 51 ქართული და 19 უცხოური ვაზის ჯიშების ნიმუში). ღვინოების კვლევა მოიცავს მათ ლაბორატორიულ ანალიზსა და დეგუსტაციას. საკვლევი ღვინოები ასევე ხელმისაწვდომი იქნება სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ღვინის პოტენციალის შესაფასებლად.

მისამართი: თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 39ა
ტელ: + 995 32 2 23 01 36
ფაქსი: + 995 32 2 22 65 12
ელ–ფოსტა: saguramoagro@yahoo.com

ბაბანეურის მარანი

მისამართი: ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაბანეური
ტელ.: 599 50 92 20 - ანზორ იდოიძე

მარანი მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაბანეურში, ალაზნის მარცხენა ნაპირზე ალვანი-მაღრაანის მიკროზონაში, ზღვის დონიდან 550 მ. სიმაღლეზე. ვენახები გაშენებულია ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალის მიმდებარე ფერდობზე. ჯიშები: ქისი, რქანითელი, საფერავი, ხიხვი, მწვანე კახური. ღვინო ნატურალურია და დამზადებულია ტრადიციული კახური მეთოდით ქვევრებში, ყოველგვარი ტექნოლოგიური დანამატების გარეშე.

ავთანდილ ბედენაშვილის მარანი

კარდენახი

ტელ: 599 111090, 595 305 889
ელ-ფოსტა: hilariuspuetz@gmail.com

ბაგრატიონი

ბაგრატიონი 1882

სს „ბაგრატიონი 1882“
მისამართი: 0153, ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ. 12
ტელ: +995 32 2 655300
ფაქსი +995 32 2 652432
ელ-ფოსტა: info@bagrationi.ge
ვებ-გვერდი: www.bagrationi.ge

სს „ბაგრატიონი 1882“ ცქრიალა ღვინის მწარმოებელი პირველი სპეციალიზებული სანარმოა საქართველოში. დაარსდა 1937 წელს. დღესდღეობით საქართველოში ცქრილა ღვინის ბაზრის ლიდერია. კომპანიის სახელწოდება ქართველ მეფეთა შთამომავლის, თავად ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის სახელს უკავშირდება, რომელმაც XIX საუკუნეში ქართული ცქრიალა ღვინის წარმოება ფრანგული ბოთლური მეთოდით დაიწყო. აქედან იღებს დასაბამს ქართული ცქრიალა ღვინის ისტორია. ამ პროდუქციამ მსოფლიო აღიარება პირველად 1882 წელს სანკ-პეტერბურგის საერთაშორისო გამოფენაზე მოიპოვა, სადაც უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი დაიმსახურა. ბაგრატიონი 1882-ის ქარხანა ამჟამად მთლიანად მოდერნიზებულია, აღჭურვილია უახლესი დანადგარებით. ღვინის შამპანიზაცია წარმოებს როგორც ბოთლური, ასევე რეზერვუარული მეთოდით. „ბაგრატიონი 1882-ს“ აქვს საკუთარი ვენახები საქართველოს ყველაზე პრესტიჟულ მიკროზონებში, იმერეთისა და ქართლის რეგიონებში.

BADAGONI
GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადაგონი

შპს „ბადაგონი“
მისამართი: სათაო ოფისი: თბილისი, 0105, თავისუფლების მოედანი 4.
ტელ.: + (995 32) 2 93 62 43.
სამრეწველო ქარხანა: კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, 0910, სოფ. ზემო ხოდაშენი.
office@badagoni.ge.
www.badagoni.ge.

კომპანია „ბადაგონი“ ფლობს 300 ჰექტარზე მეტ ვენახს ახმეტის (საფერავი, რქაწითელი, მწვანე, ქისი, კაბერნე), ყვარლის (საფერავი), მუკუზანის (საფერავი), ახაშენის (საფერავი), აკურას (რქაწითელი, წინანდალი) და ბანძის (ოჯალეში) მუნიციპალიტეტებში. აწარმოებს 20-მდე დასახელების ღვინოს. არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი. ალავერდის მონასტრის მარანში, ასევე, აწარმოებს ქვევრის ტრადიციულ ქართულ ღვინოებს.

ბექა გოცაძის საგვარეულო მარანი

მისამართი: თბილისი, კიკეთი (მარანი). ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაბანეური (ვენახი).
ტელ.: 599 50 90 33
bgotsa@gmail.com

მარნის ვენახები გაშენებულია ბაბანეურში, სახელმწიფო ნაკრძალის მომიჯნავე ფერდობზე. ჯიშები: ქისი, მწვანე კახური, საფერავი, რქანითელი, ხიხვი. მარანი მდებარეობს თბილისის სიახლოვეს - კიკეთში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე, სადაც განსხვავებულ, გრილ კლიმატურ პირობებში მზადდება განსხვავებული გემოს მქონე ღვინოები. მარანი აყენებს ნატურალურ ღვინოებს ტექნოლოგიური დანამატების გარეშე, ტრადიციული კახური წესით ქვევრებში.

გაიოზ სოფრომაძის მარანი

ინდ. მენარმე „გაიოზ სოფრომაძე"
ბაღდათი, რუსთაველის მესამე ჩიხი #8
ტელ.: 595 78 61 31

გაიოზ სოფრომაძის ვენახები გაშენებულია ბაღდათში. აწარმოებს ვანის ჩხავერისა და ცოლიკოურის ღვინოებს. იყენებს ქვევრებს. არის ასოციაცია „ქვევრის ღვინის" წევრი. მარნის ღვინოები იყიდება თბილისის სპეციალიზებულ ღვინის მაღაზიებში.

ვაზი +

მისამართი: ნინამძღვრიშვილის 4, თბილისი,
საქართველო.
ტელ.: (+995 32) 2 65 87 56
www.binekhi.ge

კომპანია „ვაზი +“-ს სავაჭრო ნიშანია „ბინეხი“. ფლობს ვენახებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კლასიკური (ტრადიციული) ღვინოების გვერდით, როგორიცაა მუკუზანი, საფერავი, ნინანდალი და ა. შ. ღვინის გურმანებს სთავაზობს ორიგინალურ, ექსკლუზიურ პროდუქციას. ასევ აწარმოებს ქვევრის ღვინოს. „ბინეხის“ კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღვინოებს სხვადასხვა ფორმის კერამიკულ ჭურჭელში, რომლებიც მზადდება ხელით, სპეციალური ტექნოლოგიით, კომპანიის კუთვნილ საამქროში. კომპანია ასევე აწარმოებს „ჭაჭას“ და ლიქიორებს.

ვეფხვაძის მარანი

ინდ. მეწარმე „ამირან ვეფხვაძე“
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი კლდეეთი
ტელ.: 591 64 36 54

ვეფხვაძეების მარანი მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეეთში. ღვინოს - „ოცხანურ საფერეს“ აწარმოებს ანალოგიური დასახელების ნითელყურძნიანი იმერული ვაზის ჯიშის ყურძნისგან. იყენებს ქვევრებს. არის ასოციაცია „ქვევრის ღვინის“ წევრი.

ვლადიმერ გულაშვილის მარანი

მისამართი: თბილისი, შატბერაშვილის 8
ტელ.: 599 53 21 80, 599110617.

ვლადიმერ გულაშვილის მამაპაპისეული მარანი მდებარეობს კახეთის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მიკროზონაში – კარდენახში. მარანის განკარგულებაშია 16 ტონა ტევადობის ქვევრები, რომელშიც ტრადიციული კახური წესით მზადდება რქაწითელისა და საფერავის ღვინოები.

TBILVINO

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილღვინო

ს/ს თბილღვინო
მისამართი: თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი 2.
საფოსტო ინდექსი: 0153.
ტელ: (995 32) 2 65 33 82, 2 65 16 25.
ფაქსი: (995 32) 2 65 14 61.
ელ-ფოსტა: info@tbilvino.com.ge
ვებ-გვერდი: www.tbilvino.ge

„თბილღვინო“ 1962 წელს დაარსდა და დღესდღეობით, სააქციო საზოგადოების სახით, ადგილობრივ თუ საექსპორტო ბაზარზე წარმატებით განაგრძობს საქმიანობას. კომპანია ღვინოებს რამდენიმე სავაჭრო ნიშნით აწარმოებს და პროდუქციის 90%-ს მსოფლიოს ოც ქვეყანაში ყიდის, მათ შორის - ბალტიისპირეთის ქვეყნებში, უკრაინაში, ყაზახეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, კანადაში, შვედეთში და ა.შ. უკვე რამდენიმე წელია, „თბილღვინო“ #1 ღვინის ექსპორტიორი კომპანიაა საქართველოში. სხვადასხვა პრესტიჟულ ღვინის საერთაშორისო კონკურსებზე მრავალი მედალი აქვს მიღებული. „თბილღვინოში“ დანერგილია ISO 9001 - ხარისხის მართვის სისტემა და ISO 2200 - საკვების უვნებლობის მართვის სისტემა (HACCP).

TELIANI VALLEY

თელიანი ველი

ს/ს „თელიანი ველი“
მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი. #2.
საფოსტო ინდექსი: 0159
ტელ: (+995 32) 2 313246 / 47 / 48
ფაქსი: (+995 32) 2 313249
ვებ-გვერდი: www.telianivalley.com

სს „თელიანი ველი“ დაარსდა 1997 წელს ნინანდლის „თელიანის“ სამარკო ღვინოების ღვინის ქარხნის ბაზაზე; მისი განვითარების ახალი ეტაპი კი 2004 წლიდან დაიწყო, როცა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა კომპანიის აქციათა პაკეტი შეიძინა. დიდი ინვესტიციის შედეგად 2005 წელს აშენდა „თელიანი ველის“ ქარხანა თელავის მუნიციპალიტეტში. „თელიანი ველი“ მომხმარებელს უახლესი ტექნოლოგიით დამზადებულ, უმაღლესი ხარისხის წითელ და თეთრ, მშრალ და ნახევრადმშრალ, ტკბილ და ნახევრადტკბილ ღვინოებს სთავაზობს („საფერავი“, „წინანდალი“, „ცოლიკოური“, „თელი“, „შანავი“, „თელიანი“, „ნაფარეული“, „ტვიში“, „ალაზნის ველი“, „თბილისური“, „მუკუზანი“, „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „ოჯალეში“, „ახაშენი“). კომპანია ასევე უშვებს ორი სახეობის ღვინის არაყს - „ჭაჭას“, შამპანურს - „ტეტე დე კუვე“, „დემისეკი“, „ექსტრა სეკი“ და კონიაკების სერიას „ლე კაუკას“. „თელიანი ველი“ პროდუქციას 25-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის, საქართველოს ბაზარზე კი მის ბოთლის ღვინოებს 45 პროცენტი უკავია. არაერთი ჯილდო აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო ღვინის კონკურსზე თუ გამოფენაზე.

ИБЕРИЕЛИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბერიელი

შპს „იბერიელი“
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მკრ, მე-2 კვ, მე-3 კორპუსი, ბინა 11.
მარანი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, დაბლაციხის თემი, სოფელი საყვავისტყე. ტელ: +995 99 584624 - ზურაბ თოფურიძე.
info@iberieli.ge, www.iberieli.ge.

შპს „იბერიელს“ ჩხავერის ვენახები აქვს გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბლაციხის თემის ტერიტორიაზე; ასევე - კახეთში, ნინანდლის ზონის, თელიანის სპეციფიკურ მიკროზონაში. აწარმოებს ევროპულ, აგრეთვე - კახურად და იმერული წესით დაყენებულ ნატურალურ ღვინოებს.

იმერული ღვინის კომპანია

შპს „იმერული ღვინის სახლი“
მისამართი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, 2015,
სოფელი მეორე სვირი;
ტელ.: +995 58 49 94 30;
ელ-ფოსტა: info@iwc.ge
ვებ-გვერდი: www.iwc.ge

ბრენდი - „იმერული ღვინის კომპანია“ ეკუთვნის შპს „იმერული ღვინის სახლს“, რომელიც 2004 წელს შეიქმნა. იმერეთის რეგიონში, სვირის მიკროზონის საუკეთესო მდებარეობით, კომპანია ფლობს ძვირფასი ჯიშებით გაშენებულ 26,5 ჰექტარ ვენახს, სადაც წარმოდგენილია როგორც ენდემური, ქართული, ასევე საუკეთესო ფრანგული ჯიშები: საფერავი - 11 ჰა; ციცქა - 4,2 ჰა; ოცხანური საფერე - 4 ჰა; კაბერნე სოვინიონი - 2,3 ჰა; ალექსანდროული + მუჯურეთული - 1 ჰა; შარდონე - 1 ჰა; პინო გრი - 1 ჰა; რქანითელი - 1 ჰა; ოჯალეში - 0,5 ჰა; პინო ნუარი - 0,5 ჰა; კომპანია ღვინოს აწარმოებს უშუალოდ ვენახების სიახლოვეს (ქარხნისა და ვენახების ტერიტორია ერთმანეთს ესაზღვრება), რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ხარისხიანი ღვინის მისაღებად. ქარხანა აღჭურვილია ფრანგული წარმოების უახლესი დანადგარებით.

კახა ბერიშვილის მარანი

მისამართი: თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. [illegible]
ტელ.: 551 60 76 08.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა ბერიშვილის მარანი არის ასოციაცია „ქვევრის ღვინოს“ წევრი. ამზადებს ნატურალურ ქვევრის ღვინოებს საფერავისგან და რქანითელისგან. ამ მარნის 2010 წლის მოსავლის „საფერავი“ „ვინექსპო ჯორჯია 2011“-ზე ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

კახური

შპს „კახური“
მისამართი: თელავი, თბილისის გზატკეცილი 1. 2200
ტელ.: +995 350 70210,
ფაქსი: +995 350 70200
ელ-ფოსტა: info@kakhuri.com

კომპანია „კახური“ 2000 წელს დაარსდა ქალაქ თელავში. კომპანიის დაარსების ინიციატორია სამი წარმატებული ქართველი მეღვინე, რომლებმაც ორიენტაცია აიღეს მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებაზე. 2000-2002 წწ ქალაქ თელავში აშენდა ღვინის ქარხანა, რომელსაც 2 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს და უზრუნველყოფს სრულ ციკლს - ყურძნის დაწურვიდან ღვინის ჩამოსხმამდე. იგი აღჭურვილია ევროპული მწარმოებლების თანამედროვე აგრეგატებით: Della Toffola, Velo, Clemens, Astepo, Liverani, Fimer, CDA და სხვ. შეუძლია აწარმოოს 2 მლნ ბოთლი წელიწადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახური ტრადიციული მეღვინეობა

კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“
იურიდიული მისამართი: თბილისი, ქსნის ქ. 12.
ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ. 32.
ტელ: +995 32 223 77 22; +995 32 223 77 00.
ფაქსი: +995 32 223 77 11.
info@ktw.ge . http://ktw.ge .

კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ისტორია უკავშირდება ანთიმოზ ჩხაიძის სახელს, რომელმაც XIX საუკუნის 80-იან წლებში გურიის სოფელ ასკანაში ღვინის მარანი დააარსა. ძირძველ საგვარეულო ტრადიციებზე დაყრდნობით ანთიმოზ ჩხაიძის შთამომავლებმა 1998 წელს დააარსეს კომპანია „ასკანელი ძმები“. ამ კომპანიის წარმატებამ განაპირობა მეორე, მისივე შვილობილი კომპანიის წარმოქმნა. ასე დაარსდა 2001 წელს კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“.

კორპორაცია ქინძმარაული

ს/ს „კორპორაცია ქინძმარაული“
მისამართი: ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. # 55
ტელ: + 995 90 100 061
ფაქსი: +995 352 229 97
ელ-ფოსტა: office@kindzmarauli.ge
kindzmarauli@kindzmarauli.ge

„კორპორაცია ქინძმარაულის“ მარნის ისტორია იწყება მე-16 საუკუნის დასაწყისიდან, ცნობილი ყვარლის ციხესიმაგრის მშენებლობასთან ერთად. აქ არსებობდა მაშინდელი სამეფო მარანი, სადაც მეფეთა ოჯახებისთვის „ქინძმარაული“ იწურებოდა. სწორედ ამ ადგილებისა და მარნის სამართალმემკვიდრეა „კორპორაცია ქინძმარაულის“ მარანი „ვაზის ცრემლები“. მის სახელზეა საერთაშორისო კონკურსებზე მოპოვებული 100-ზე მეტი ჯილდო (მათგან ნახევარზე მეტი ოქროს მედალია). განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიუ იორკისა და პარიზის სამიტებზე მოპოვებული ოქროს, პლატინისა და ბრილიანტის პრიზები. კომპანიის ღვინოებმა დაიმსახურა არაერთგზის გრანპრი კონკურსზე „საქართველო - ღვინის სამშობლო“. „კორპორაცია ქინძმარაულის“ მფლობელობაშია კომპანია შპს „კახეთი-კ“ და შპს „კონჭო და კომპანია“. „კორპორაცია ქინძმარაული“ აწარმოებს მაღალხარისხიან ალკოჰოლურ სასმელებს - ღვინოს, ბრენდსა და ჭაჭას.

მანავის სამეფო ზვრები

მისამართი: კახეთი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
სოფ. მანავი
ტელ.: 877 739958 - ნიკოლოზ ანთაძე;
ელ-ფოსტა: nikiantadze@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ანთაძის მცირე მარანი - „მანავის სამეფო ზვრები“ მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში, რომელიც აღიარებულია ქართული ვაზის ჯიშის - მწვანე კახურის საუკეთესო მიკროზონად. აქ იწარმოება სახელგანთქმული ქართული ადგილნარმოშობის დასახელების ღვინო „მანავის მწვანე“. ნიკოლოზ ანთაძის ვენახები გაშენებულია ტერიტორიაზე, რომელსაც მანავში ისტორიულად სამეფო ზვრებს უწოდებენ. მარანი არის ასოციაცია „ქვევრის ღვინის“ წევრი. ნიკოლოზ ანთაძე მწვანე კახურისგან ღვინოს აყენებს ქვევრებში.

მარანი „ნიკა“

მისამართი: კახეთი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ანაგა
ელ-ფოსტა: nika.bakhia@googlemail.com

მარანი „ნიკა“ ნიკა ბახიას ოჯახური მარანია, რომელიც კახური ტრადიციული მეთოდით ქვევრებში აწარმოებს ღვინო „საფერავს“. საფერავის ვენახები გაშენებულია ანაგაში – კახეთის მევენახეობის ერთ-ერთ საუკეთესო მიკროზონაში. მარანი არის ასოციაცია „ქვევრის ღვინის“ წევრი.

მეღვინეობა ხარება

შპს „მეღვინეობა ხარება“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი 50/1
ტელ.: +(995 32) 2 53 21 31
ელ-ფოსტა: info@winerykhareba.com
ვებ-გვერდი: www.winerykhareba.com

„მეღვინეობა ხარება“ ფლობს საკუთარ ვენახებს კახეთში, იმერეთსა და ლეჩხუმში. იგი აწარმოებს 30-ზე მეტი დასახელების ღვინოს უნიკალური ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშების - ციცქას, კრახუნას, ცოლიკოურის, ალადასტურის, ოცხანური საფერეს, უსახელოურის, საფერავის, მწვანე კახურის, რქანითელის, საფერავის ვაზის ჯიშებიდან. პროდუქციის ჩამონათალში შედის თეთრი და წითელი ევროპული მეთოდით დამზადებული ღვინოები, მუხის კასრში დაძველებული ღვინოები, ქვევრის ღვინოები, ბოთლური მეთოდით დამზადებული ცქრიალა ღვინოები და ყურძნის წიპწის ზეთი. ღვინის აწარმოებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ორ რეგიონში: კახეთსა და იმერეთში. კომპანია ღვინის აძველებს და უვლის ყვარელში, კლდეში ნაკვეთ უნიკალურ ღვინის საცავ გვირაბში, სადაც წელიწადის ნებისმიერ დროს არსებული სტაბილური ტემპერატურა ღვინის დაძველებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

ნიკოლაძეების მარანი

შპს „ნიკოლაძეების მარანი“
მისამართი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი ნახშირღელე
ტელ.: 893 94 48 41; 851 94 48 41
ელ-ფოსტა: georgianslowfood@yahoo.com

ნიკოლაძეების მარანი მდებარეობს იმერეთში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახშირღელეში. ციცქასა და ცოლიკოურის ვაზის ჯიშები გაშენებულია ნიკოლაძეების უბანში. ყურძენი და ღვინო იწარმოება ნატურალური მევენახეობა-მეღვინეობის წესების სრული დაცვით. ღვინის ფერმენტაცია და დავარგება ხდება ჭურებში, ნაწილობრივ ჭაჭასთან ერთად, იმერული ტრადიციის მიხედვით. მარანი არის ასოციაცია „ქვევრის ღვინის“ წევრი.

ოქროღვინო

შპს „ოქროჯგუფი“
თბილისი, მარელისის ქ.#1
ტელ.: +995 51 622228
ელ-ფოსტა: info@okrogvino.com
ვებ-გვერდი: www.okrogvino.com

შპს აწარმოებს რქაწითლისა და საფერავის ღვინოს მცირე რაოდენობით. ღვინო „რქაწითელი“ დაყენებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბეს ვენახებში მოყვანილი რქაწითელისგან საუკეთესო მარცვლების გადარჩევის მეთოდით. ხოლო „საფერავი“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში, ვენახში დაჩამიჩებული საფერავისაგან. ეს ღვინო ნახევრადტკბილია. „ოქროჯგუფი“ ასევე აწარმოებს ჭაჭას.

სალხინოს დადიანების მარანი

მისამართი: მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინო
ტელ.: 571 01 81 01 – მამა ანტონი.

სალხინოს დადიანების ისტორიული მარანი ამჟამად სალხინოს მამათა მონასტრის განკარგულებაშია. მარანი ჭყონდიდის ეპარქიამ აღადგინა და ააღორძინა სამეგრელოს უნიკალური ვაზის ჯიშის, ოჯალეშის ყურძნისგან ღვინის ჭურებში დაყენების ტრადიცია. სოფელი სალხინო იდეალური მიკროზონაა მეგრული ოჯალეშისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუპების ძველი მარანი

შპს „ტყუპების ძველი მარანი"
მისამართი: კახეთი, ნაფარეული.
ტელ.: (+995) 5 99 17 09 29, (+995) 5 90 10 70 70
info@cellar.ge , gela@cellar.ge
http://twinsoldcellar.ge

ტყუპი ძმების, გია და გელა გამტკიცულაშვილების ვენახები გაშენებულია ნაფარულში. ჯიშები: საფერავი, რქანითელი, მწვანე კახური, კაბერნე. ამ ეტაპზე ტყუპები აწარმოებენ 4 სახის ღვინოს სახელწოდებით „ქვევრის მზე". იყენებენ ქვევრებს. აქვთ საოჯახო სასტუმრო, რომელიც ჩართულია ღვინის ტურებში.

უსახელაურის ვენახები

შპს „უსახელაურის ვენახები“
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. # 14.
ფაქტობრივი მისამართი: ცაგერის რაიონი, სოფელი ოყურეში.
ტელ.: +995 99 51 60 20; +995 99 51 60 10; +995 32 2 39 06 03.
ელ-ფოსტა: smanana@hotmail.com
ვებ-გვერდი: www.usakhelauri.ge

2001 წლიდან „უსახელაურის ვენახებმა“ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურეშში დაიწყო იშვიათი ქართული ვაზის ჯიშის - უსახელაურის ვენახების გაშენება. კომპანიის დამფუძნებლები არიან ოყურეშის მკვიდრნი - პაატა შარაშენიძე და მუხრან გიორბელიძე. მათ ვენახებში ამჟამად 10 600 ძირი უსახელაურია გახარებული. 2009 წელს „უსახელაურის ვენახებმა“ თავისი სახელით პირველი პარტია ღვინო „უსახელაური“ ჩამოასხა, რითაც ორმოცწლიანი ინტერვალის შემდეგ განახლდა უსახელაურის სრული წარმოება. ღვინით - „უსახელაური“ კომპანია შეეცადა, მომხმარებლისათვის გადმოეცა უსახელაურის განსაკუთრებული გემო.

ქინძმარაულის მარანი

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ქინძმარაულის მარანი

შპს „ქინძმარაულის მარანი“
მისამართი: ყვარლის რაიონი სოფელი გავაზი, სტალინის ჩიხი 10;
ქ.თბილისი, საბურთალოს ქ. 63
ტელ/ფაქსი: +995 2 36 18 50
მობ: +995 99 90 56 06
ელ-ფოსტა: info@kmwine.ge, km.wine@hotmail.com
ვებ-გვერდი: www.kmwine.ge

„ქინძმარაულის მარნის“ ისტორია 2000 წელს იწყება ქინძმარაულიდან. ქინძმარაულის მიკროზონის გარდა, კომპანია ვენახებს ფლობს მანავის, მუკუზანის, ახაშენის, წინანდლის მიკროზონებში. 2003-2005 წლებში აშენებული ახალი ქარხანა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით (იტალიური Della Toffola, Fimmer) და ტექნოლოგიებით. სპეციალისტთა მოწონებას იწვევს დიზაინითაც. ქარხანაში არის ლაბორატორია (გერმანული ფირმის პროდუქცია Gravitech), რომელიც როგორც ღვინის, ასევე ყურძნის, წვენის და წყლის ნებისმიერი აუცილებელი ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა (მიკრობიოლოგიური, ქიმიური). ქარხანაში არის მაღალხარისხიანი მუხის კასრები, ელიტარული ქართული წითელი ღვინოების დასაძველებლად.

CHÂTEAU TELAVI

შატო თელავი

მისამართი: თბილისი ამაღლების ქ. N21 (ყოფილი დავითაშვილი, სოლოლაკში)
ტელ: 2 18 48 48
info@chateautelavi.com
www.chateautelavi.com

კომპანია „შატო თელავი“ 2010 წელს დაფუძნდა, 100 ჰექტარზე გაშენებული ვენახების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის შეიქმნა პროფესიონალთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ევროპაში მომუშავე აგრონომები და მევენახეები, აღიარებული მეღვინეები. 2011 წელს შეიქმნა „შატო თელავის“ ბრენდ-მაღაზიები საქართველოს უდიდეს ქალაქებში: თბილისში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში. კომპანიას აქვს 8 დასახელების – ბოთლის და 4 დასახელების ჩამოსასხმელი ღვინო. ძველი ტრადიციული მეღვინეობის ტრადიციების დაცვის გარდა, კომპანია ნერგავს ახალ ევროპულ ტექნოლოგიებს, როგორც ვენახების მოვლაში, ასევე ღვინის წარმოებაში. „შატო თელავის“ ქარხანა მდებარეობს სოფელ სანიორეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუმი

შპს „ღვინის კომპანია შუმი“
მისამართი.: საქართველო, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნინანდალი, 2217
ტელ.: (995 350) 3 45 40; (995 32) 50 60 75 / 76
ტელ./ფაქსი: (995 32) 2 38 11 37
ელ-ფოსტა: winery@shumi.ge
ვებ-გვერდი: www.shumi.ge

„შუმის“ საფირმო მაღაზია
მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ. #36ა
ტელ./ფაქსი: (995 32) 2 38 11 37
ელ-ფოსტა: shumi@shumi.ge

„ღვინის კომპანია – შუმი“ 2001 წელს დაფუძნდა საქართველოს მევენახეობა-
მეღვინეობის ცენტრში - ნინანდალში. ესაზღვრება XIX ს-ის ცნობილი ქართველი
პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში პირველი ღვინის ქარხნის
დამაარსებლის, თავად ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს. სახელწოდებად შერჩეული სიტყვა - „შუმი“ ძველ საქართველოში ნამდვილ, განუზავებელ ღვინოს ეწოდებოდა. „შუმი“ ფლობს სავენახე ტერიტორიებს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ანარმოებს სამოცამდე დასახელების ღვინოს, ბრენდის და ტრადიციული გამოხდის მეთოდით დამზადებულ კახურ „ჭაჭას“. საკუთარი ექსკლუზიური ტექნოლოგიით ამზადებს 17 დასახელების პროდუქტს. 2011 წლიდან „შუმი“ ანარმოებს ბიოღვინოს, რომელიც დაყენებულია ბიოსერთიფიკატის მქონე ვენახში დაკრეფილი საფერავისგან. „შუმი“ არის DIN EN ISO 9001:2000-ის საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი. პროდუქციის ექსპორტს ახორციელებს: უკრაინაში, ყაზახეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, პოლონეთში, იაპონიაში, აშშ-სა და კანარის კუნძულებზე.

ჩელთი

ინდ.მეწარმე გიორგი მირიანაშვილი.
მისამართი: ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ.შილდა.
ტელ.: 577 444455

კომპანია „გიორგი მირიანაშვილი“ (ჩელთი) დაფუძნდა 2001 წელს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში (კახეთი). იმავე წელს კომპანიამ 50 ჰექტარზე გააშენა საფერავის ჯიშის ვენახი. სანარმოს მიზანია მაღალხარისხოვანი ნატურალური ღვინის დაყენება და პოპულარიზაცია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. 2007 წელს ვენახების ტერიტორიაზე აშენდა ღვინის ქარხანა, რომელიც მთლიანად აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით. კომპანიის წლიური წარმადობაა 200 000 ბოთლი. მათ შორის განსაკუთრებულად გამოირჩევა მაღალხარისხიანი, დაძველებული წითელი მშრალი ღვინო „ჩელთი“. კომპანია ითვალისწინებს ქართული მეღვინეობის უძველესი ტრადიციებს. ამავე დროს, იყენებს ღვინის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ჩვენი ღვინო - OUR WINE

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შპს „ჩვენი ღვინო - OUR WINE“
მისამართი: სოფელი ბაკურციხე
ტელ.: 599 117727 სოლიკო ცაიშვილი,
577 437028 - ირაკლი ფრუიძე;
ელ-ფოსტა: solomonoza@yahoo.de; ipruidze@gmail.com

შპს „ჩვენი ღვინო - OUR WINE“ დღეისთვის ამუშავებს 5,5 ჰა ვენახს. ჯიშები: რქაწითელი, საფერავი. აგრეთვე - მწვანე კახური და ხიხვი. ორი უკანასკნელი თეთრი ყურძნის ჯიში გამოიყენება მხოლოდ კუპაჟისთვის. ვენახები მდებარეობს კახეთში - კარდანახსა და ბაკურციხეში, ზღვის დონიდან 320_400 მ. სიმაღლეზე. ვენახებს უვლიან ბიოდინამიური მეთოდით (მანამდე - ბიომეთოდით). შეზღუდულად იხმარება შაბიამნისა და გოგირდის შემცველი პრეპარატები. ხვნის გარდა ყველა ოპერაცია ტარდება ხელით. მოსავალი კონტროლდება და არ აღემატება 4,5-5 ტონას ჰექტარზე. ვენახები არ ირწყვება. კომპანია აწარმოებს ძირითადად სამი სახეობის ღვინოს: თეთრი, მშრალი (100% რქაწითელი) - წარაფის მიკროზონიდან; თეთრი, მშრალი (90% რქაწითელი, 6% კახური მწვანე%, 4% ხიხვი) - ახოების მიკროზონიდან; წითელი, მშრალი (100% საფერავი) - ახოების მიკროზონიდან; აგრეთვე, შესაფერის პირობებში, როცა ამ პატარა ვენახში მოსავალი საკმარისია, ისხმება თეთრი, მშრალი (90% რქაწითელი, 7% კახური მწვანე, 3% ხიხვი) - ბაკურციხის „ეროებიდან“. ღვინო მზადდება ტრადიციული კახური მეთოდით ქვევრებში. არ იხმარება არავითარი დანამატი (სელექციური საფუარი, მჟავები, ენზიმები, ტანინები და ა.შ.), გარდა გოგირდისა, ისიც ძალიან მცირე დოზით. ღვინო არ იფილტრება. მარანი არის ასოციაცია „ქვევრის ღვინის“ წევრი.

ციხელაშვილების მარანი

მისამართი: კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ალვანი;
ტელ.: 595 907959.

ლექსო ციხელაშვილის მარანი მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში. ციხელაშვილების მარნის ღვინო დაყენებულია რქანითელის, მწვანე კახურისა და ქისისგან. მარანი იყენებს ქვევრებს და მუხის კასრებს. არის ასოციაცია „ქვევრის ღვინის" წევრი"

ხოხბის ცრემლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისამართი: ქ. სიღნაღი, ბარათაშვილის ქუჩა №18
ტელ.: +(995) 255-3-15-56, +(995) 99 53 44 84
ელ-ფოსტა: jwurdeman@pheasantstears.com - ჯონ ვურდემანი.
contact@pheasantstears.com

კომპანია „ხოხბის ცრემლები" უძველესი ქართული ტრადიციების დაცვით ანარმოებს ნატურალურ ღვინოებს. ღვინის წარმოება ინყება ქართული ვაზის ჯიშების იდეალურ მიკროზონაში გაშენებით. ტკბილი, ჯანმრთელი ყურძნის მისაღებად კომპანია იყენებს ორგანულ მეთოდებს. „ხოხბის ცრემლების" მიერ წარმოებული ყველა ღვინო დადუღებული და დაძველებულია ქვევრში, რომელიც დაფარულია ფუტკრის ორგანული ცვილით და ჩაფლულია მიწაში. დუღილი წარმოებს ბუნებრივ საფუარებზე და მეღვინე ყველა ღონეს ხმარობს, რომ მიიღოს ქართულ ნიადაგსა და ქართულ კულტურაში ღრმად ფესვგადგმული თავისებურების, სრულყოფილი ღვინოები. კომპანიის სახელწოდება - „ხოხბის ცრემლები" მომდინარეობს ერთ-ერთი ქართული თქმულებიდან, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ დიდი ძალისხმევით დაყენებულ ღვინოს შეუძლია სიხარულისგან ხოხბის ატირება.

Jakeli wines

ჯაყელების ღვინოები

შპს „ჯაყელების ორგანული ვენახი და ღვინოები“
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის ქ. 16, კორპ.7, ბ.6.
ფაქტობრივი მისამართი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაშმი;
ტელ.: მალხაზ ჯაყელი: 599 555032; ზაზა ჯაყელი: 599 554133
ელ-ფოსტა: info@jakeli-wines.ge ; jakeli.wines@gmail.com;
ვებ-გვერდი: www.jakeli-wines.ge .

საფერავის საუკეთესო ღვინოებით სახელგანთქმულ სოფელ ხაშმში ჯაყელებმა ვენახის გაშენება 2001 წელს დაიწყეს. ძმების 6 ჰექტარი ვენახი ქაცვით, მაყვლითა და ასკილით მდიდარ ივრის ზეგანზე, ზღვის დონიდან 760 მ-ზე, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთითაა გაშენებული. ალუვიური ნიადაგებისა და აქაური განსაკუთრებული კლიმატის შერწყმით მუქი ფერის, სხეულიანი და შინაარსიანი ღვინო დგება. კომპანია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წევრია და ორგანულ მევენახეობა-მეღვინეობას ეწევა. მისი ღვინოები სერტიფიცირებულია როგორც ორგანული. კომპანია ღვინოს ძირითადად ხაშმის საფერავისგან აყენებს. მცირე რაოდენობით რქაწითელი და კახური მწვანეც იწურება. ჯაყელების ღვინოები ბუნებრივი მეთოდებით, ყოველგვარი ქიმიური ჩარევის გარეშე მზადდება და არ იფილტრება. საფერავი 10-12 თვე ძველ ფრანგულ მუხის კასრებში ვარგდება.

ოჯახური მარნები
კახეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმაზ შალაშვილი
გურჯაანი. სოფ.ჩუმლაყი.
ქვევრის ღვინო – რქაწითელი.
ტელ.: 595 474056. armazsh@yahoo.com

კობა ქვაჭრელიშვილი
ყვარელი. სოფ. ჭიკაანი.
ქვევრის ღვინო – ქისი.
ტელ.: 599 987671.

ოთარ ბერძენიშვილი
თელავი. სოფ. წინანდალი
ღვინო – რქაწითელი (ქვევრი/კასრი)
ტელ.: 577459683, 593983474

დიანა ინანაშვილი
გურჯაანი. სოფ. მელაანი
ღვინო – რქაწითელი.
ტელ.: 577393031

მარინა აფრიამაშვილი
ყვარელი. სოფ. სანავარდო
ღვინო – საფერავი
ტელ.: 595956475 monastrisnobati@yahoo.com

შალვა ჯანაშვილი
სიღნაღი. სოფ. ხირსა
ღვინო – რქაწითელი, საფერავი
ტელ.: 577463314; 2 36 08 49.

ნოდარ გაგნიძე
საგარეჯო. ღვინო – რქაწითელი, საფერავი.
davit.gagnidze@gmail.com

გიორგი დემეტრაშვილი
საგარეჯო. სოფ. მანავი.
ქვევრის ღვინოები – მწვანე კახური, საფერავი
ტელ.: 599514855. goga@batash.ge

სოსო ლასურაშვილი
საგარეჯო. ღვინო – საფერავი.
ტელ.: 599514855. goga@batash.ge

თორნიკე სოზაშვილი
საგარეჯო. ღვინო – საფერავი.
ტელ.: 591701321. soso.soza@yahoo.com

რამაზ ღადუაშვილი
საგარეჯო. ღვინო – საფერავი.
ტელ.: 551701907 kr.ramram.kr@gmail.com

მარინა ლაფაჩიშვილი
საგარეჯო. ღვინო – საფერავი.
ტელ.: 577950339 makolapachi@gmail.com

გიორგი გელაშვილი
გურჯაანი. სოფ. შაშიანი.
ქვევრის ღვინო – საფერავი.
ტელ.: 596119622

მერაბ მირცხულავა
გურჯაანი. ვაზისუბანი.
ღვინოები – რქაწითელი, მწვანე კახური (ვაზისუბანი), თავკვერი (ოკამი).
ტელ.: 555272017

თამარ მაჭარაშვილი
სიღნაღი. სოფ. ქვემო ბოდბე.
ღვინო – რქაწითელი.
ტელ.: 555 255265. tamarmatcha@yahoo.fr

გოგი ოტიაშვილი
ახმეტა. სოფ. ოჟიო.
ქვევრის ღვინო – მწვანე კახური, რქაწითელი
ტელ.: 599512133

რევაზ პეტრიაშვილი
ახმეტა. სოფ. ზემო ხოდაშენი.
ქვევრის ღვინო – რქაწითელი, მწვანე კახური.
ტელ.: 593444229

სოსო გრემელაშვილი
თელავი. სოფ. შალაური.
ქვევრის ღვინო – რქაწითელი.
ტელ.: 551653621

თემურ ჯუგაშვილი
ახმეტა. სოფ. ბაბანეური.
ქვევრის ღვინო – რქაწითელი, მწვანე კახური.
ტელ.: 595981295

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლი

დავით ჩიხლაძე
თბილისი. ქვევრის ღვინოები: თავკვერი (ქვეშეთი), ოცხანური, საფერე (ფუთი), რქაწითელი (ზემო მაჩხაანი).
ტელ.: 551577071

გიორგი დვალიშვილი
გორი. სოფ. ხიდისთავი.
ქვევრის ღვინოები. ჯიშები: თავკვერი, ჩინური, გორული მწვანე.
ტელ.: 599737563 gogidvali@gmail.com

ვალერი რჩეულიშვილი
გორი. სოფ. ქვეში.
ღვინოები – ჩინური + გორული მწვანე, თავკვერი
ტელ.: 577484816. rcheulas@gmail.com

პაატა ლალუაშვილი
ხაშური. სოფ. ბეკამი.
ღვინო – გორული მწვანე, ჩინური.
ტელ.: 595542297, 0368270097

დავით ნიპარიშვილი
კასპი. ღვინოები – თავკვერი, საფერავი, კაბერნე
ტელ.: 595672642

ნიკოლოზ კაპანაძე
ბოლნისი. სოფ. ხატისსოფელი.
ღვინო – რქაწითელი.
ტელ.: 595575819. kapanadze_nikoloz@yahoo.com

იმერეთი

თემურ მაღლაკელიძე
ზესტაფონი. ღვინო – ციცქა.
ტელ.: 577 35 60 64

გიორგი გაბრიჩიძე
ზესტაფონი. სოფ. კვალითი.
ქვევრის ღვინო – ციცქა.
ტელ.: 593282744. giogabrichidze@gmail.com

რამაზ კიპაროიძე
საჩხერე. ღვინო – ძელშავი.
ტელ.: 599 563786

ზურაბ ღვალაძე
ბაღდათი. სოფ. მეორე ობჩა.
ღვინო – ცოლიკოური + ციცქა.
ტელ.: 599917883.

არჩილ გუნიავა
ზესტაფონი. სოფ. კვალითი.
ქვევრის ღვინო – ოცხანური საფერე.
ტელ.: 599534295

გიორგი შალამბარიძე
ზესტაფონი. სოფ. ცხრაწყარო.
ღვინო – ოცხანური საფერე (ვარდისფერი)
ტელ.: 555104668.

გურია

ანდრო ვაშალომიძე
ოზურგეთი. სოფ. შემოქმედი
ღვინოები – ჩხავერი, ათინაური
ტელ: 598 108674

თემურ შარაშიძე
ჩოხატაური. სოფ. ბუკისციხე.
ღვინო – ჩხავერი.
ტელ.: 599538696

რაჭა

მერაბ ახობაძე
ამბროლაური. სოფ. ხვანჭკარა.
ღვინო – ალექსანდრეული + მუჯურეთული
ტელ.: 599215633. kolkheti21@yahoo.com

ირაკლი სარდანაშვილი
ამბროლაური. სოფ. ხვანჭკარა.
ღვინო – ალექსანდრეული + მუჯურეთული.
ტელ.: 557901515

ლეჩხუმი

სერგო არჯევანიძე
ცაგერი. სოფ. ოყურეში.
ქვევრის ღვინო – უსახელოური.
ტელ.: 599140693. arjevanidze.s@gmail.com

ღვინის კლუბი

ჩვენი ძირითადი მიზნები

- ღვინის შესახებ ცოდნის ამაღლება.
- ღვინის მაღალი ხარისხის პროპაგანდა.
- ქართველი მომხმარებლის კულტურის დახვეწა.
- დავიწყებული ტრადიციების გაცოცხლება.
- ყურძნის უძველესი ქართული ჯიშების გადარჩენისთვის ზრუნვა და მათი პოპულარიზაცია.
- გაბედული სიახლეებისა და ნოვატორული ნამოწყებების მხარდაჭერა ქართული ღვინის სფეროში.
- მაქსიმალური და მართალი ინფორმაციის მიწოდება ქართულ ბაზარზე გამოსული ქართული (უცხოური) ღვინოების შესახებ.
- ქართული სამზარეულოს დახვეწა ადგილობრივი და უცხოური ღვინოების მიხედვით.
- გამოფენების, საჯარო დეგუსტაციებისა და სხვა საინტერესო ღონისძიებების მოწყობა.
- ღვინის ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებული ნვლილის შეტანა. ღვინო-ტურისტული მარშრუტების შექმნა.
- ეთნოგრაფიული და ფოტო-ექსპედიციები, ინფორმაციის შეკრება, კონკრეტული დახმარებები.
- „ღვინის კლუბში" განევრიანება შეუძლია ნებისმიერს, პროფესიონალს, მოყვარულს, ღვინის ენთუზიასტებს.

ღვინის კლუბი
593 35 24 26
599 90 60 94
557 27 27 04
wineclub.ge
vinoge.com
contact@vinoge.com